მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

2024 წელი

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის საკასო შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	**42,170.4**	**30,239.0**	**11,931.4**	**48,603.0**	**37,303.6**	**11,299.3**
გადასახადები	23,164.4	23,164.4	-	26,336.2	26,336.2	-
გრანტები	11,931.4		11,931.4	11,299.3		11,299.3
სხვა შემოსავლები	7,074.6	7,074.6		10,967.5	10,967.5	-
II. ხარჯები	**36,503.8**	**34,646.1**	**1,857.7**	**31,729.8**	**30,553.0**	**1,176.8**
შრომის ანაზღაურება	5,129.3	4,903.3	226.0	4,910.1	4,684.1	226.0
საქონელი და მომსახურება	10,625.3	9,650.0	975.3	7,914.4	7,209.7	704.6
პროცენტი	45.9	45.9	-	45.9	45.9	-
სუბსიდიები	17,025.6	16,779.3	246.4	16,591.1	16,345.0	246.2
გრანტები	67.0	67.0	-	67.0	67.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,547.8	1,547.8	-	1,319.5	1,319.5	-
სხვა ხარჯები	2,062.8	1,652.8	410.0	881.7	881.7	-
III. საოპერაციო სალდო	**5,666.6**	**- 4,407.1**	**10,073.7**	**16,873.1**	**6,750.6**	**10,122.5**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**42,427.5**	**31,793.6**	**10,633.9**	**17,625.5**	**9,707.7**	**7,917.8**
ზრდა	43,027.5	32,393.6	10,633.9	28,026.0	20,108.2	7,917.8
კლება	600.0	600.0	-	10,400.5	10,400.5	-
V. მთლიანი სალდო	**-36,761.0**	**-36,200.8**	**-560.2**	**- 752.4**	**- 2,957.1**	**2,204.7**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-36,886.7**	**-36,326.5**	**- 560.2**	**- 878.1**	**- 3,082.8**	**2,204.7**
კლება	**36,886.7**	**36,326.5**	**560.2**	**878.1**	**3,082.8**	**- 2,204.7**
ვალუტა და დეპოზიტები	36,886.7	36,326.5	560.2	878.1	3,082.8	- 2,204.7
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 125.7**	**- 125.7**	**-**	**- 125.7**	**- 125.7**	**-**
კლება	**125.7**	**125.7**	**-**	**125.7**	**125.7**	**-**
საშინაო	125.7	125.7	-	**125.7**	125.7	-
სესხები	125.7	125.7	-	**125.7**	**125.7**	**-**
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის საკასო შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	**42,770.4**	**30,839.0**	**11,931.4**	**59,003.4**	**47,704.1**	**11,299.3**
შემოსავლები	42,170.4	30,239.0	11,931.4	48,603.0	37,303.6	11,299.3
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	600.0		10,400.5	10,400.5	-
გადასახდელები	**79,657.0**	**67,165.5**	**12,491.6**	**59,881.5**	**50,786.9**	**9,094.6**
ხარჯები	36,503.8	34,646.1	1,857.7	31,729.8	30,553.0	1,176.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	43,027.5	32,393.6	10,633.9	28,026.0	20,108.2	7,917.8
ვალდებულებების კლება	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
ნაშთის ცვლილება	**- 36,886.7**	**- 36,326.5**	**- 560.2**	**- 878.1**	**- 3,082.8**	**2,204.7**

2023 წელს ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენება) სახით ასახულ იქნა 36 886,7 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 878,1ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

I. **მცხეთის მუნიციპალიტეტის** 2023 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **42 770,4** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **59 003,4** ათ.ლარი, ანუ გეგმის 138% .

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	2023 წლის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების %
შემოსულობები	**42,770.4**	**59,003.4**	16,233.1	138.0
შემოსავლები	**42,170.4**	**48,603.0**	6,432.6	115.3
არაფინანსური აქტივების კლება	**600.0**	**10,400.5**	9,800.5	1,733.4

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **42 170,4** ათასი ლარი, ფაქტობრივად **48 603,0** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 115,3% და მთლიანი შემოსულობების (**59 003,4** ათასი ლარი) - 82% შეადგინა.

შემოსავლების ხვედრითი წილი სახეობების მიხედვით 2023 წელი



1. **გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 26 336,2 ათასი ლარი, შემოსავლების - 48 603.0 ათასი ლარი - 54,2%. 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (21 967,2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 369,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონებაზე გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 16 137,3 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 13 612,5 ათასი ლარი) შედარებით 2 524,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 11 333,5 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი 9 370,3 ათასი ლარი), ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 913,7 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი 733,2 ათასი ლარი), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადიდან 75,2 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან - 564,9 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი - 497,0 ათასი ლარი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 250,0 ათასი ლარი (2022 წლის ფაქტი - 2 939,1 ათასი ლარი);

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 10 198,9 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 8 354,7 ათასი ლარი) შედარებით 1 844,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	2023 წლის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების პროცენტი
გადასახადები	23,164.4	26,336.2	3,171.8	113.7
ქონების გადასახადი	12,950.0	16,137.3	3,187.3	124.6
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10,150.0	11,333.5	1,183.5	111.7
უცხოურ საწარმოთა ქონება		75.2	75.2	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	220.0	913.7	693.7	415.3
ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე	20.0	14.5	-5.5	72.3
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე	200.0	899.3	699.3	449.6
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	320.0	564.9	244.9	176.5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	2,260.0	3,250.0	990.0	143.8
დღგ	10,214.4	10,198.9	-15.5	99.8

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში განსაზღვრული 11 931,4 ათასი ლარიდან ჩარიცხულია 94,7% - **11 299,3 ათასი** ლარი, (შემოსავლების 23,2%), მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2475 29.12.2022წ.) - 5 836,3 ათასი ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N1840 16.10.2023 წ.) - 188,0 ათასი ლარი (უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი);

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის (მთავრობის განკარგულება N2476 29.12.2022 წ.) - 846,0 ათასი ლარი;

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ (მთავრობის განკარგულება N545 17.03.2023წ.) - 270,0 ათასი ლარი;

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N301 09.02.2023 წ.) - 351,5 ათასი ლარი (სოფ. შანკევანის სასმელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა);

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N116 20.01.2023 წ.) - 2 804,1 ათასი ლარი (სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა, ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ნავდარაანთკარში ნაპირსამაგრების მოწყობა).

მიზნობრივი ტრანსფერი - 1 003,3 ათასი ლარი, მ.შ.: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 475.0 ათ. ლარი (,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 249,0 ათასი ლარი და ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 226.0 ათასი ლარი) და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N147 23.01.23წ.) - 528,3 ათასი ლარი;

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების პროცენტი
გრანტები	**11,931.4**	**11,299.3**	**-632.1**	**94.7**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტი	**11,931.4**	**11,299.3**	**-632.1**	**94.7**
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1,003.3**	**1,003.3**	**0.0**	100.0
მიზნობრივი , მ.შ.:	1,003.3	1,003.3	0.0	100.0
მიზნობრივი (დელეგირებული)	475.0	475.0	0.0	100.0
მიზნობრივი (ტრანსპორტირება)	528.3	528.3	0.0	100.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**10,928.1**	**10,296.0**	**-632.1**	**94.2**
კაპიტალური, მ.შ.	**10,928.1**	**10,296.0**	**-632.1**	**94.2**
სპეციალური ტრანსფერი	3,430.0	2,804.2	-625.8	81.8
კაპიტალური ტრანსფერი	7,040.1	7,033.8	-6,3	99.9
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	458.0	458.0	0.0	100.0

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 7 074,5 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 10 967,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 155%-ია, ხოლო შემოსავლების - 48 603,0 ათასი ლარის - 22,6 %, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 9 637,5 ათასი ლარი) შედარებით 1 330,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3 704,9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3 329,3 ათასი ლარი) შედარებით 375,6 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 1 308,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1182,1 ათასი ლარი) შედარებით 125,9 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მობილიზებულია - 1018,0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 290,0 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან - 1 710,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1400,0 ათასი ლარი) 122%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 971,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (400,0 ათასი ლარი) 242%-ია, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 3,8 ათასი ლარი, ხოლო დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 735,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1000,0 ათასი

ლარი) 74%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (601,3 ათასი ლარი) შედარებით 134,3 ათასი ლარით მეტია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 55,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (20.0 ათასი ლარი) 35%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 41,0 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -2,8 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 11,3 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3808,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 240,0 ათასი ლარი) 170%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3 697,7 ათასი ლარი) შედარებით 110,5 ათასი ლარით მეტია.
მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 2 976,9 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 195,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 635,4 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 380,6 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 148,3 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 2,5 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 79,3 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 150,5 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულ ება
სხვა შემოსავლები	**7,074.6**	**10,967.5**	**3,892.9**	**155.0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**3,414.6**	**5,012.9**	**1,598.4**	**146.8**
პროცენტი	**2,494.6**	**3,704.9**	**1,210.4**	**148.5**
რენტა	**920.0**	**1,308.0**	**388.0**	**142.2**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის	**800.0**	**1,018.0**	**218.0**	**127.3**
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი და სხვა) გადაცემიდან	**120.0**	**290.0**	**170.0**	**241.6**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1,420.0**	**1,765.8**	**345.8**	**124.4**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1,400.0**	**1,710.8**	**310.8**	**122.2**
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	971.3	571.3	242.8
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების	0.0	3.8	3.8	
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების	1,000.0	735.6	-264.4	73.6
არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	**20.0**	**55.0**	**35.0**	**275.1**

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულ ება
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	**20.0**	**55.0**	**35.0**	**275.1**
სანქციები , ჯარიმები და საურავები	**2,240.0**	**3,808.2**	**1,568.2**	**170.0**
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	2,000.0	2,976.9	976.9	148.8
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	49.5	195.9	146.4	395.8
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	190.5	635.4	444.9	333.5
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**0.0**	**380.6**	**380.6**	**0.0**

შემოსავლების შესრულების დინამიკა 2022-2023 წლებში



არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 10 400,5 ათასი ლარის შემოსავალი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 13 365,7 ათასი ლარი) შედარებით 2 965,2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 664,1 ათასი ლარი (შენობა-ნაგებობები - 663,4 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 0,7 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 48,9 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 9 687,5 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტი	2023 წლის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	10,400.5	9,800.5	1,733.4
ძირითადი აქტივები	0.0	713.0	713.0	
შენობა-ნაგებობების გაყიდვა	0.0	663.4	663.4	
სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა	0.0	0.7	0.7	
მატერიალური მარაგები	0.0	48.9	48.9	
არაწარმოებული აქტივები	600.0	9,687.4	9,087.4	1,614.6
მიწა	600.0	9,687.4	9,087.4	1,614.6

შემოსულობების შესრულების დინამიკა 2022-2023 წლებში



II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2023 წელს გადასახდელების შესრულების 75%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (74%) მეტია, ხოლო თანხობრივად, 2022 წელთან შედარებით, დახარჯულია 8 815,1 ათასი ლარით მეტი.

2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 79 657,0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 59 881,5 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 75,2%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 36 503,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 31 729,8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 87% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 53%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 43 027,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 28 026,0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 65,1% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 46,8%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 125,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%.

2023 წლის ასიგნებების სტრუქტურა (საკასო ხარჯი)



მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 31 729,8 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5 129,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 910,1 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 95,7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 15,4%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 10 625,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 7 914,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 74,5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 24,9%-ია.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 45,9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 45,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 0.1%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 17 025,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 16 591,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 53,7%-ს შეადგენს.
„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 670,0 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 304,8 ათასი ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 54,7 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 2 477,8 ათასი ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 140,4 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 7 601,9 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 1 808,3 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები 2 010,6 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 321,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 201,2 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 67,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 67,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 0.2%-ს შეადგენს.
„გრანტების" მუხლით დაფინანსებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ის ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 547,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 319,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85,3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 4,2%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 857,7 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 261,5 ათასი ლარი;
- ერთჯერადი სოციალური დახმარება - 100,0 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 2,3 ათასი ლარი;
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 45,6 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 062,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 881,7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის

42,7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (31 729,8 ათასი ლარი) 2,8%-ია.
სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 79,0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 245,4 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - 21,2 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 495,8 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა - 40,3 ათასი ლარი;



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 9879,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 130,2 ათასი ლარი) 88,8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) 16,5%-ს შეადგენს, მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 9833,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (10784,3 ათასი ლარი) 91,2%-ია;

- ✓ ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მიმართულებით დაგეგმილი იყო 300,0 ათასი ლარი. ამ მუხლში გათვალისწინებულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი;

- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 45,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

◙ **თავდაცვის** სფეროში დაგეგმილ იქნა 294,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 291,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,8%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) 0.5%-ს შეადგენს.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 28 264,1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 19 601,0 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 69,3%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) - 32,8%. მათ შორის:

- ✓ საავტომობილო ტრანსპორტის და გზების დაფინანსებამ შეადგინა 17 019,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (22637,4 ათასი ლარი) 75,2%;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 581,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 626,7 ათასი ლარი) 45,9%-ს შეადგენს.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 726,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 081,3 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 82,7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 5,2%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 2 755,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 288,9 ათასი ლარი) 83,8%-ია;

- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა - 325,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (438,0 ათასი ლარი) 74%-ია;

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 15 827,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9605,7 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 60,7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) **- 16,1%.** მათ შორის:

- ✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 185,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 919,8 ათასი ლარი) 9,7%-ს შეადგენს;

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 819,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 351,3 ათასი ლარი) 63%-ს შეადგენს;

- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 2696,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 283,1 ათასი ლარი) 63%-ს შეადგენს;

- ✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 1514,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1665,5 ათასი ლარი) 91%-ს შეადგენს;

- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 2389,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (2607,6 ათასი ლარი) 91,6%-ს შეადგენს.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 324,3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 324,2 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 0,5%. მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 324,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (324,3 ათასი ლარი) 99,9%;

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 7784,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5727,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 73,6%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 9,6%. მათ შორის:

- ✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 3387,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5193,9 ათასი ლარი) 65,2%;
- ✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 2340,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2570,2 ათასი ლარი) 91%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 0,0 ათასი ლარი, ხოლო გეგმამ 20,0 ათასი ლარი;

◙ **განათლების სფეროს დასაფინანსებლად** გეგმა განისაზღვრა 9572,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 9280,4 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 96,9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) – 15,5%. მათ შორის:

- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 8711,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (8999,5 ათასი ლარი) 96,8%-ს შეადგენს;
- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 568,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (572,9 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2607,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1964,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 75,4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (59 755,8 ათასი ლარი) - 3,3%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 857,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (900,0 ათასი ლარი) 95,3%-ს შეადგენს;
- ✓ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 122,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (125,7 ათასი ლარი) 97,5%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 759,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1354,5 ათასი ლარი) 56%;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 225,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (227,4 ათასი ლარი) 99,2%-ს შეადგენს;

სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 300,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ფონდიდან თანხა არ გამოყოფილა;

წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ცალი) და ნარჩენების კონტეინერების (200 ცალი) გადაცემა. სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 171,6 ათასი ლარი, აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 45,9 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 125,7 ათასი ლარი. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება შეადგენს 357,4 ათას ლარს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 29 206,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (44 091,4 ათასი ლარი) 66,2%-ია;

- ✓ პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 081,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 726,9 ათასი ლარი) 82,7%-ია;

- ✓ პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 280,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (9 572,4 ათასი ლარი) 96,9%-ია;

- ✓ პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5 727,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (7 784,1 ათასი ლარი) 73,6%-ია;

- ✓ პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 289,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 931,9 ათასი ლარი) 78,1%-ია;

- ✓ პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 296,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (11 550,4 ათასი ლარი) 89,1%-ია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით



მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 17 019,2 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 22 637,4 ათასი ლარის 75,2%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება
განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 800,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 556,9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 69,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ მცხეთაში დაზიანებული საავტომობილო გზებს ჩაუტარდა მიმდინარე (ორმოული) შეკეთება (მრავალწლიანი პროექტი); განხორციელდა სპეცტექნიკის დაქირავება შიომღვიმის მონასტერთან კლდიდან ჩამოშლილი მიწის მასის გასატანად;

მიღწეული შედეგები: საჭიროებიდან გამომდინარე ორმოული შეკეთება ჩაუტარდა დაახლოებით 2000 კვ.მ ფართობის გზის საფარს.

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის გეგმა - 14583,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 11494,0 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 4994,0 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 78,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა: სოფ. ძეგვში (ნაკურთხევის გზა) შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ქსოვრისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია; სოფ. ნაფეტვრების (ნაფეტვრები 2) შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. წოდორეთში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. საგურამოში და სოფ. ზაქაროში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. საგურამოში (მე-2 და მე-6 ქუჩა) შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. ლისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ); სოფ. არაშენდაში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (რგფ); სოფ. მამკოდას მიმდებარედ, ხოდაბუნების დასახლების მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფ. კოტორაანთკარში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფ. ნიჩბისში შიდა საუბნო გზის ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ღვინის ქარხნის უბანი, წყაროს უბანი, ბაინდურაანთ უბანი) (რგფ); სოფ. მუხრანში გზების რეაბილიტაცია (აბანოს უბანი, ინდუაანთ უბანი, მერებაანთ უბანი, გალაშკას (II მონაკვეთი) უბანი); სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (კვირაცხოვლის უბანი) (რგფ); სოფ. ციხისძირის შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (I და II მონაკვეთი); სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მე-12 ქუჩა, მე-8 და მე-11 მონაკვეთი, რგფ); სოფ. ძალისში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა (ხეტიაანთუბანი, I და II მონაკვეთი) (რგფ); სოფ. ძალისში (პავლიაანთ უბანი) შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფ. წილკანში შიდა გზების რეაბილიტაცია; სოფ. წილკანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, 3 მონაკვეთი (რგფ); ქ. მცხეთაში (ჭავჭავაძის ქუჩა) შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში (რუსთაველის ქუჩა) შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში რუსთაველის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში ნიჩბოსნობის ბაზასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფ. მუხათგვერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ); სოფ. წინამძღვრიანთკარში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. გალავანში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. მსხალდიდში შიდა საუბნო გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. წეროვანში (N1,2,3,4 მონაკვეთები) შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. წილკნის და სოფ წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა და სოფ. წეროვანში (N5,6,7,8 მონაკვეთები) შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნატახტარში შიდა საუბნო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა;

მიღწეული შედეგები: საანგარიშო პერიოდში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაახლოებით 29790 გრძ/მ გზას (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12790 გრძ.მ გზას და რგფ-დან 17000 გრძ.მ გზას).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულ იქნა წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და გეგმით გათვალისწინებული ასიგნებას შორის სხვაობით (ეკონომია); სამუშაოს ფაქტიური შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიებით; პროექტების რაოდენობის გაზრდით, ვინაიდან გარკვეული პერიოდი სჭირდება ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, შესაბამისად ამ პროექტების შესრულების ვადები გადადის მომდევმო წელს; მრავალწლიანი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით.

02 01 03 გზების კეთილმოწყობა

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის გეგმა 7254,1 ათასი ლარი საკასო შესრულება - 4968,4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 579,1 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 68,5 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

განხორციელდა ქ. მცხეთაში გარე განათების და ტროტუარების მოწყობა (ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე); ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (შადრევნიდან ბაზრის ჩასახვევამდე); ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან სვეტიცხოვლის შესასვლელამდე, გამსახურდიას ქუჩის დასაწყისი); ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა (ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე) (რგფ); ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე) ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოები (რგფ); ქ. მცხეთაში, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების, ბორდიურების, გამწვანების და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში სამხედროს ქუჩაზე საყრდენი კედლების, ტროტუარების და ბორდიურების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში აღმაშენებლის ქუჩაზე ქალაქის შემოსასვლელში, არსებული ხიდის მიმდებარედ, მდ. მტკვარზე გადასახედი მოედნის მოწყობა; ქ. მცხეთაში, ბაგინეთის მთაზე მონასტრის ტერიტორიის დაცვა ქვათაცვენისგან; სოფ. საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო მუზეუმის მისასვლელი გზის გამყოფი ზოლის კეთილმოწყობა; ქ. მცხეთაში მირიანის ქუჩაზე არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია; დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება; სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შეძენა-მონტაჟი; სოფ. წილკნისთვის მცირეფასიანი ცხაურების შესყიდვა; საგზაო ნიშნების შესყიდვა; ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შეძენა-მონტაჟი და შეკეთება, 40 მეტრიანი სადროშე ბოძის მიწოდება-მონტაჟი;

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქ. მცხეთაში (სხვადასხვა ლოკაციაზე) სავალი ნაწილის გასწვრივ მოეწყო ახალი ბეტონის ბორდიურები, ახალი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები, ტროტუარსა და საყრდენ კედელს შორის მოეწყო გაზონი; დაზიანებული საყრდენი კედლების ადგილზე მოეწყო ახალი რკინა/ბეტონის საყრდენი კედლები, დასრულდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შეძენა-მონტაჟი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულ იქნა წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და გეგმით გათვალისწინებული ასიგნებას შორის სხვაობით (ეკონომია); სამუშაოს ფაქტიური შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიებით; პროექტების რაოდენობის გაზრდით, ვინაიდან გარკვეული პერიოდი სჭირდება ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, შესაბამისად ამ პროექტების შესრულების ვადები გადადის მომდევმო წელს; მრავალწლიანი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით.

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - შპს "მცხეთის სოფწყალი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის გეგმა 1670,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1670,0 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი -100 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენებისა და კომუნიკაციების რეგულარული მომსახურება მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.

ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში მოემსახურა 59 სოფელს, სადაც განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელვა და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.

მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 99 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP-ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“ -ს (4 სოფელი) მეშვეობით.

2023 წელს წყლის გამანაწილებელი ქსელი გაიზარდა 3255 მ-ით (სოფ. წილკანში 110-200 მმ დიამეტრის მაგისტრალური ქსელი) და შეადგინა დაახლოებით 363778 კმ, ხოლო შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობამ შეადგინა 111 ერთეული (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი), რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

ავარიული გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 203 ერთეული, რომელთაგან ფაქტობრივად ყველა აღმოიფხვრა.

მიღწეული შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში უზრუნველყოფილ იქნა სასმელი წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირება და ქსელის მოვლა-ექსპლუატაცია.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის გეგმა 2 613,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 026,7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 363,5 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 39,3 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: სოფ. ძალისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ); სოფ. ბიწმენდში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ); სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა (რგფ); სოფ. შანკევანში სასმელი წყლის რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი); სოფ. შანკევანში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა; სოფ. ძალისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა; სოფ. ძალისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში შადრევნის რეაბილიტაცია (კაფე გვირილასთან);

მიღწეული შედეგები: განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- მრავალწლიანი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით.

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 330,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 288,0 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი 87,2 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება; საკანალიზაციო ჭის ხუფების შეძენა; სოფ. საგურამოში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.
მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილ იქნა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-ექსპლუატაცია.

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 105,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 037,8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 93,9 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა :
განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების წერტილების (8500 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 360,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება 304,8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 84,7 %.
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 63 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 10699 წერტილის მოვლა-პატრონობა. ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა, შეიცვალა 5961 ცალი სხვადასხვა ტიპის ნათურა, 108 ცალი ავტომატური ამომრთველი, 113 ცალი ელგამშვები მოწყობილობა, 273 ცალი ფაიფურის მასრა, 367 ცალი დროსელი, 132 ცალი ეკოსანათი და 50 ცალი პროჟექტორი, 39 ცალი ფოტორელე, 125 ცალი იგნატორი, 4392 მ სიგრძის ელსადენი და 25 ცალი შუალედური დამჭერი.
მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება, წარმოქმნილი შეფერხებები დროულადაა აღმოფხვრილი.

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 200,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 172,3 ათასი ლარით შესრულების პროცენტი - 86 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოფ. ქსანში ისტორიულ ციხეზე მინათებების მოწყობა,

მიღწეული შედეგები: განხორციელდა გარე განათების ქსელის გაფართოება.

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 1919,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 185,7 ათასი ლარით (მათ შორის, ტრანსფერით 38,3 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 9,7 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

2023 წელს პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა; ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე არსებული სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვანში უსახური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (ტრანსფერი).

მიღწეული შედეგები: მოვლილი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:
სოფ. წეროვანში ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს და შპს "მცხეთის სოფწყალი"-ს განთავსების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების (1642,3 ათასი ლარი) ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველი კომპანიები არ აღმოჩნდა.

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 2607,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2389,1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 20,1 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 91,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა :
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: სოფ პატარა ქანდაში სკვერის მოწყობა; ქ. მცხეთა, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12

არსებული სკვერის) რეაბილიტაცია, სოფ. ქსანში (ს/კ72.10.08.127) სკვერის მოწყობა, სოფ. წინამძღვრიანთკარში სკვერის მოწყობა, სოფ. ციხისძირში არსებული სკვერის (ს/კ72.10.03.337) რეაბილიტაცია, სოფ. წეროვანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა, სოფ. ძალისში სკვერის მოწყობის სამუშაოები, სოფ. წილკანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მინი სპორტული მოედნის და სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. მცხეთაში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე, სათამაშო მოედნების მოწყობა; დაფინანსდა სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი; კომუნიკაციების ქსელზე დაერთება; სოფ. ციხისძირის და სოფ.წეროვნის სკვერებში მილების რემონტი; ქ. მცხეთაში, სამხედროს ქ. N12 ა-ში არსებული სკვერის მოწყობა, სოფ. ციხისძირში არსებული სკვერის (N8 კორპუსის მიმდებარედ) რეაბილიტაცია;

მიღწეული შედეგები: აღდგენილია და ახლად მოწყობილია სკვერები, მოსახლეობისთვის შექმნილია კომფორტული და მიმზიდველი დასასვენებელი გარემო.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყდა ხელშეკრულება სოფ. ციხისძირში, ს/კ72.10.02.104-ის მიმდებარედ (ნაგავსაყრელი) ახალი სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოებზე. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განმეორებით გამოცხადდა ტენდერი .

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 80,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 56,2 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 70,2 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა
საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების, შეკეთება, კანალიზაციის გაწმენდა.

მიღწეული შედეგები: წლის მანძილზე ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელებულია მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 1511,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 788,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 52,1 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელდა „მცხეთობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქის გაფორმება; საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმება - საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;

მიღწეული შედეგები: განხორციელდა ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:
დაგეგმილი იყო მასშტაბური სამცხეთობო და საახალწლო ღონისძიებები, პროექტი მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით.

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 2 749,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 705,7 ათასი ლარი, (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 700,2 ათასი ლარი) , შესრულების პროცენტი 62 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გზების მოხრეშვა, სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგები: განხორციელდა კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტები;

02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 178,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 167,5 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 93,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სარწყავი არხების გაწმენდა სოფლებში: ქსოვრისი, მუხრანი, ვარდისუბანი, ძალისი, ვაზიანი; სოფ. მუხათწყაროში, გზაზე ლითონის ზღუდარის და რკინა-ბეტონის კიუვეტის მოწყობა.

მიღწეული შედეგი: განხორციელდა სანიაღვრე ქსელის მოწყობა, უზრუნველყოფილი იქნა სანიაღვრე და სარწყავი არხების მოვლა-ექსპლუატაცია.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 2 093,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 658,2 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 31,4 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (73 პროექტი) შესყიდვა - 281,0 ათასი ლარი; ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა - 377,2 ათასი ლარი;

მიღწეული შედეგები: დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 4035,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 737,6 ათასი ლარი (მათ შორის სპეციალური ტრანსფერი 1 396,2 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 43,1%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა სოფ. მსხალდიდში, სოფ. მუხათგვერდში და ქ. მცხეთაში, სააკაძის ქუჩაზე; სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების აღდგენა მუნიციპალიტეტის სოფლებში; შიომღვიმის მონასტერთან კლდიდან ჩამოშლილი მიწის მასის გატანა; ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერით დაფინანსდა სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობა, სოფ. ნავდარაანთკარში, თეძამის ხევში ნაპირსამაგრის მოწყობა (მიმდინარე პროექტები);
მიღწეული შედეგები: დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები; განხორციელებულია ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: დაგეგმილი სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.
პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 3 288,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 755,7 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი 83,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან, თოვლის და ყინვიანი ამინდების დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისი, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 100 კუბ.მ ქვიშა-მარილი;

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილ იქნა 3 ერთეული 14 კუბ.მ ტევადობის ნაგავმზიდი, 2 ერთეული ფორდ-ტრანზიტის დახურული ტიპის 1 ერთეული ფორდ-ტრანზიტის ღია ტიპის ა/მანქანები;

2023 წელს განხორციელდა ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა (11 ნაგავმზიდით) კასპის ნაგავსაყრელზე, ქ. მცხეთიდან და სოფ. საგურამოდან - დღეში ორჯერ, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან - დღეგამოშვებით); აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 20487 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან - 4462 ტონა, სოფლებიდან - 11225 ტონა, ორგანიზაციებიდან - 4800 ტონა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1570 ცალი 1,1 კუბ.მ ტევადობის ნარჩენების კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 210 ცალი, სოფლებში - 1220 ცალი, ორგანიზაციებში -140 ცალი .

პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენისაგან.

ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული შედეგები: მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება;

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქვეპროგრამის დაფინანსება 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 145,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 140,4 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 96,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ. ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდებოდა პარკებისა და სკვერების ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხვა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 90 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან მუხათგვერდში ც/გზიდან ჭაშნიკამდე გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 500 კვ.მ. ნარჩენი.

სისტემატურად ტარდებოდა პარკების, სკვერებისა და მწვანე ნარგავების მორწყვითი სამუშაოები, როგორც ხელით, ისე ავტომატურად და მოსარწყავი ავტოცისტერნის მეშვეობით. ყოველდღიურად უზრუნველყოფდნენ ქ. მცხეთის ცენტრალური შადრევნის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირებას.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;

ქვეპროგრამის დაფინანსება 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 213,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 185,2 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 87%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის ტერიტორიაზე დარგული სხვადასხვა სახეობის ნერგების მოვლა-პატრონობა: მორწყვა, ჯამების მოწყობა-გაფხვიერება, დაზიანებული და დაავადებული ხეების მოჭრა-გადაბელვა;

მიღწეული შედეგები: განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები.

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

2023 წლის გეგმა - 80,0 ათასი ლარი;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა, რაც არ განხორციელებულა.

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“;
პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 7659,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 7606,3 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი 99,3%.
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. საბავშვო ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებული იყო 555 თანამშრომელი, მ.შ. 139 აღმზრდელი და 93 თანაშემწე, მომსახურება გაეწია 1764 აღსაზრდელს, საბავშვო სააღმზრდელო კურსი დაასრულა სასკოლო ასაკის 542 ბავშვმა.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა გაერთიანების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, საბ. ბაღები აღიჭურვა სამზარეულოს ტექნიკით და ჭურჭლით, სპორტული და სამეურნეო ინვენტარით, ჰიგიენური საშუალებებით, სათამაშოებით, შეძენილ იქნა მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, მომსახურე პერსონალისთვის - სპეცტანსაცმელი, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა მშრალი ქრობის ცეცხლმაქრების შემოწმება/აღდგენა, საკიდების შეძენა, ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდა სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევა, რის საფუძველზეც ბოთლებში

ჩამოსხმული წყლით მომარაგდა საბ. ბაღები, განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა, შეკეთდა გათბობის სისტემები, ჩატარდა გადაუდებელი რემონტები, სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოები, ყველა საბავშვო ბაღის კვების ბლოკში არსებული გაზქურები ჩანაცვლდა ელექტროქურებით, ჰასპის სტანდარტის დანერგვის უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის გამზომი ხელსაწყოები (თერმომეტრები).

საშობაო-საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით გაერთიანებამ უზრუნველყო 1725 აღსაზრდელისთვის სასაჩუქრე პაკეტების (ტკბილეულის) გადაცემა.

წლის განმავლობაში 74 აღმზრდელი გადამზადდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის შესაბამისად, სააღმზრდელო ჯგუფებში კურიკულუმით გათვალისწინებული მოთხოვნების და ბავშვის საჭიროების შესაბამისად ცვლილებები შეიტანეს სივრცით დაგეგმარებაში. ივნისის თვეში გაერთიანებაში შემავალ საბ. ბაგა-ბაღებში დაიწყო დაწესებულებების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესი, რომელიც ორ ეტაპად გაიარა 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ. ამ პროცესებთან დაკავშირებით ონლაინ ფორმატში გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ გაერთიანების დირექტორი, ადმინისტრაციული მართვის განყოფილების უფროსი და მეთოდისტი; გაერთიანების თანამშრომლებმა ქ. ბათუმში გაიარეს ტრენინგი თემაზე - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კურიკულუმი, მეთოდოლოგია, ოჯახი და ჩართულობა“.

მიღწეული შედეგები: ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო; უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდება.

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 1339,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1105,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი- 82,5 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა, სოფ. ქსანში საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, ქ. მცხეთაში, წერეთლის ქუჩაზე, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის ასაშენებლად, უფუნქციო რკინა-ბეტონის აუზის დემონტაჟი.

მიღწეული შუალედური შედეგები: მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით უზრუნველყოფილია საბავშვო ბაგა-ბაღების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;
პროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 572,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება -568,5 ათასი ლარი (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 528,3 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი 99,2 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით

განხორციელდა საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების 90 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი ყოველი სემესტრის დასრულების მერე.

მიღწეული შედეგები:
ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები;
უზრუნველყოფილია საჯარო სკოლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების წახალისება;

05 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 322,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 322,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 99,8 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები: ხელფასები, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილეობის, გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.
საანგარიშო პერიოდში სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებდა 19 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში სკოლაში ვარჯიშობდა 325 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობდა 9 სოფელში (ნიჩბისი, მუხრანი, ძეგვი, საგურამო, გალავანი, ქსოვრისი, ძალისი, წილკანი, ციხისძირი) და ქ. მცხეთაში. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩემპიონ ლიგის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა სკოლის 3 გუნდი (სხვადასხვა ასაკში), სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები;
სკოლის აღსაზრდელებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობას იღებდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში (2009-2010წწ.; 2011-2012წწ.; 2013-2014წწ.) დაბადებულთა შორის, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები;
2023 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლამ გაიარა კატეგორიზაცია და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გრანტის სახით მიიღო 10 000 (ათი ათასი) ლარი, ამ თანხით შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი.
სკოლის ორგანიზებით მინი ფეხბურთში ჩატარდა ოთხთა ტურნირები: საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 2009-2010 წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა საგურამოს „ჯიქი“; ქეთევანობის დღესასწაულთან დაკავშირებით სოფ. მუხრანში 2011-2012 წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა მუხრანის „ბური“; მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით 2013-2014 წწ. დაბადებულთა შორის, სადაც გამარჯვებული გახდა ნიჩბისი „დიდგორი“. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და ფასიანი საჩუქრები.
სკოლის ორგანიზებით ნოემბრის თვეში ჩატარდა სასკოლო-სპორტული ოლიმპიადა მინი ფეხბურთში (მუნიციპალური თამაშები) ვაჟებსა და გოგონებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებმა.
მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მოზარდების ჩართულობა ფეხბურთში.

05 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 283,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 281,9 ათასი ლარით , შესრულების პროცენტი - 99,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სპორტსმენთა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები.

საანგარიშო პერიოდში აკადემიაში ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობას (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) ეუფლებოდა 80-მდე სპორტსმენი (8 ჯგუფი). აკადემიის 4 სპორტსმენი ირიცხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ქვეყნის სახელით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში აკადემიის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ:

ქ. ბათუმში, ბათუმის ღია ფესტივალზე საერთო ფიზიკურ მომზადებაში და ნიჩბოსნობაში სკოლის მოსწავლეებმა (გოგონები, ვაჟები) დაიკავეს საპრიზო ადგილები;

ქ. ფოთში, საქართველოს თასზე კანოე კაიაკის და ნიჩბოსნობის ჩემპიონატში, აკადემიის 6 სპორტსმენმა დაიკავა პირველი ადგილი, 26 სპორტსმენმა - მეორე, ხოლო მესამე ადგილი - 3 სპორტსმენმა;

ქ. ფოთში, კანოე-კაიაკში ვიქტორ კრატასიუკის სახელობის რეგატაში აკადემიის სპორტსმენებმა 200-500 მ დისტანციებზე გაცურვაში წარმატებით იასპარეზეს და ჩემპიონები გახდნენ, საერთოდ, გუნდმა მოიპოვა 9 ოქრო, 5 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

ქ. ფოთში ნიჩბოსნობაში საქართველოს ჩემპიონატში აკადემიის სპორტსმენებმა 7 გაცურვიდან 5 გაცურვაში დაიკავეს პირველი ადგილები.

ქ. ერევანში, სომხეთის ღია ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს აკადემიური ნიჩბოსნობის სპორტსმენებმა და საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ქ. რუსთავში, საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში ბ/კ ნიჩბოსნობაში წარმატებით იასპარეზა სკოლის ნაკრებმა გუნდმა და დაიკავა გუნდური პირველი ადგილი საქართველოს ქალაქებს შორის ასპარეზობაში, საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ სხვადასხვა ასაკობრივ წლოვანებაში სკოლის სპორტსმენები.

ქ. ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო რეგატა ბ/კ ნიჩბოსნობაში პირველად მიიღეს მონაწილეობა სკოლის პატარა ასაკის სპორტსმენებმა, საერთო გუნდურ ჩათვლაში აკადემიის გუნდი პირველ ადგილზე გავიდა და გამარჯვებულის თასი მოიპოვა.

აკადემიის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს კანოე-კაიაკის და აკადემიურ ნიჩბოსნობაში: ქ. ფოთში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, ქ. მცხეთაში, „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრში, სადაც საქართველოს გუნდების გარდა მონაწილეობდნენ მოლდავეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ნარები გუნდები, აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრში, ქ.რუსთავში, ალექსანდრე წივწივაძის სახელობის ღია პირველობაზე, აკადემიის 9 სპორტსმენი აყვანილ იქნა საქართველოს ნაკრებ გუნდში.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია კანოესა და ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის განვითარება.

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 553,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 548,5 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 99 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა

წლის განმავლობაში სკოლა ეტაპების მიხედვით ახორციელებდა შემდეგ სასპორტო-საწვრთნელ საქმიანობას: დაწყებითი ეტაპის საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება და საბაზო-საორიენტაციო ეტაპის საწვრთნელი სასპორტო საქმიანობა.
სკოლაში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას ეუფლებოდა 449 მოსწავლე სამ ასაკობრივი ჯგუფში: 6-18 წლამდე ასაკის (ჭაბუკები), 18-20 წლამდე ასაკის (ახალგაზრდები) და 20-23 წლამდე ასაკის (კადეტები);

სკოლის აღსაზრდელები საწვრთნელ პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში.

წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და ტურნირებში და დაიკავეს საპრიზო ადგილები, უნგრეთში გამართულ ევროპის თასის ტურნირზე ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებს შორის მესამე ადგილი დაიკავა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში სკოლის მოსწავლემ, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში -პირველი ადგილი.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მოზარდების ჩართულობა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში.

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 281,1 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 276,3 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი -98,3 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში სკოლაში ფუნქციონირებდა სპორტის სხვადასხვა სახეობები: ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, შერეული ორთაბრძოლების, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის 14 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი, სადაც კვალიფიცირებული 16 მწვრთნელ-მასწავლებლის ხელმძღვანელობით სასწავლო-საწვრთნელ პროცესს გადიოდა 271 მოსწავლე. სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო პირველობაზე: ტაეკვანდოში სენაკის საერთაშორისო პირველობაზე სკოლის სპორტსმენებმა 5 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, აღსანიშნავია ველომრბოლელთა წარმატებებიც, საგზატკეცილო, სამთო და ტრეკზე ველოსპორტში სკოლის მოსწავლეები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

სკოლამ მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ჩაატარა მოსწავლეთა (გოგონები, ვაჟები) შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა „მხიარული სტარტები" სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, გეზრბენი. ოლიმპიადაში 500-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

გასვლითი შეჯიბრებების პარალელურად 2023 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმით გაიმართა ღია პირველობები კარატეში, კალათბურთში, ჭადრაკში, ფრენბურთში, ველოსპორტში, ასევე, საახალწლო, სარვამარტო და სხვა სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავად გაიმართა მასობრივი სპორტული აქტივობები.

2023 წელს განსაკუთრებით აღინიშნა საერთაშორისო ოლიმპიური დღე, სადაც მარტო სპორტულ-ინტელექტუალურ ვიქტორინაში 40-ზე მეტმა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება ჩატარდა ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, დარტსში და ნარდში.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის მერიაში საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიის გამართვა, სადაც დასახელდა საუკეთესო სპორტსმენი ველოსპორტში და საუკეთესო მწვრთნელი (ივანე რთველიაშვილი), გამოვლინდა საუკეთესო სპორტსმენთა ათეული, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, ხოლო მწვრთნელ-მასწავლებლებს

სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით საჩუქრად გადაეცათ სპორტული ორეული.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მოზარდების ჩართულობა მასობრივ სპორტში.

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 470,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 459,4 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი- 97,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა
საანგარიშო პერიოდში გაიცა 8162 აბონემენტი, მ.შ. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე - 748, მარჩენალდაკარგულზე -7, მრავალშვილიანზე- 275, იძულებით გადაადგილებულ პირებზე - 341.
კომპლექსში ყოველი დღის ბოლოს ხორციელდებოდა აუზების დეზინფექცია, წყლის სინჯების შემოწმება მიკრობიოლოგიური კვლევის სახით, ყურადღება ექცეოდა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

მიღწეული შედეგები: სპორტში საზოგადოების ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ 'მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 25,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 25,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რაგბის კლუბის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.
მიღწეული შედეგები: ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 3258,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1474,5 ათასი ლარით , შესრულების პროცენტი 45,3 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მინი სპორტული მოედნების მოწყობა ქ. მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში, სოფ. მუხრანში, სოფ. ძეგვში; სოფ. წეროვანში, (იგპ დასახლებაში) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები, სპორტული ინვენტარის შეძენა.

მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“.

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 1794,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 712,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 95,4 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები, დაფინანსდა სხვადასხვა კონცერტები, გამოფენები, შეხვედრები, საღამოები: გაიმართა საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე, ალექსანდრე ყაზბეგის 175 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბიბლიოთეკებმა გამართეს ღონისძიებები - „საუბრები დავით აღმაშენებელზე“, რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიებები კულტურის სახლებში, გაიმართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი თემატური საღამო „მეოცნებე გოგო-ბიჭები“, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოეტ ნანა ცინცაძის, ტარიელ ხარხელაურის, გიორგი გულუას, ნინო უძილაურის, პროზაიკოს ციცი გურიელის შემოქმედებითი საღამოები, ვატო ჟორდანიას საფორტეპიანო მუსიკის საღამო და მასტერკლასი, მოეწყო შეხვედრები ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძესთან, პროფესორ ლევან გიგინეიშვილთან, ევროკავშირის წარმომადგენელ მარიკა ვაჭარაძესთან, გაიმართა ცნობილი პედაგოგის შალვა ამონაშვილის საჯარო ლექცია -„ჰუმანური პედაგოგიკა“, ტრადიციულად ჩატარდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის რიტმები“, ხელოვნების სკოლაში გაიმართა კამერული მუსიკის კონცერტი, წლის განმავლობაში ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების, ანსამბლების და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით ჩატარდა ღონისძიებები.

ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „როკვა“-მ გამარჯვება მოიპოვა ფესტივალ-კონკურსებში „კავკასია-2023“, იუნესკოს ეგიდით დაფუძნებულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე და „ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში“.

მოეწყო ჩვენება ფილმებისა: „ექვთიმე ღვთისკაცი“ (რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე), „სამი სახლი“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე) და „ჩემი ბებია“ (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე).

გაიმართა რიგით მეშვიდე საერთაშორისო სამხატვრო ფესტივალი „ხატე საქართველოსთვის“,

დაარსდა მცხეთის დრამატული თეატრი, რომელმაც წარმოადგინა სპექტაკლები „ძალად ექიმი“, „გაყრა“.

საფუძველი ჩაეყარა თოჯინების თეატრს, რომელმაც გამართა პრემიერა სპექტაკლისა „აბეზარა“ და წლის განმავლობაში მოაწყო გასვლითი ღონისძიებები ქ. მცხეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სოფ. მუხრანის, ნატახტრის და ქსნის კულტურის სახლებში.

მიღწეული შედეგები: წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ხელშეწყობილია ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“.
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 42,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 42,0 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 100 %.
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუზეუმის კომუნალური ხარჯი.
მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია მუზეუმის ფუნქციონირება.

05 02 03 კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 422,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 281,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 66,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურის სახლების განათება-გახმოვანება სოფ. ნატახტარში და მუხრანში, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის“.

მიღწეული შედეგები: ხელშეწყობილია კულტურული ობიექტების ფუნქციონირება.

05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 20,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 0,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, რაც არ განხორციელებულა.

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 311,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 304,1 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 97,6 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა“ საწესდებო მიზნებისა და 2023 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით განახორციელა დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები, კერძოდ:
1. პროექტის - „ტურისტული- საინფორმაციო პორტალი - www.mtskheta.live“ - ფარგლებში

მუდმივად მზადდება დეტალური ინფორმაცია (ორენოვანი - EN, GEO) ქალაქ მცხეთაში არსებული ღირსშესანიშნაობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კვების ობიექტების, სასტუმროებისა და ჰოსტელების, რეკრეაციული და კულტურულ-შემეცნებითი სივრცეების შესახებ. ახალი ინფორმაცია მუდმივად იტვირთება პორტალზე ქართულ/ინგლისურ ენაზე.

2. პროექტის - „ძველი მცხეთა - ახალი ძეგლებით“ - ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 90-იანი წლების შემდეგ აშენებული რელიგიური ძეგლებისა და საკულტო ნაგებობების დიგიტალური და ბეჭდური კატალოგის შექმნას და პოპულარიზაციას, ჩატარდა საველე სამუშაოები ეკლესია-მონასტრებზე. კერძოდ: დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტერში (ჯავახიშვილის ქუჩის დასასრულთან, სასაფლაოს ტერიტორიაზე) და იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერში (ღართისკარის დასახლება) მოხდა ძეგლების ციფრული ფიქსაცია (კოორდინატთა სისტემაში დაფიქსირება, ფოტო-ვიდეო გადაღება, მასალების დამუშავება და ინფორმაციის ორ ენაზე განთავსება ჩვენს საინფორმაციო პლატფორმებზე).

3. პროექტის - „ადგილობრივი შემოქმედება" - ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხალხური რეწვის სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და მათი ნამუშევრების წარმოჩენა - პოპულარიზაციას, მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობას, ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა თიხის მასტერკლასი თამარ ბერიანიძის მიერ. მასტერკლასი მოიცავდა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. მონაწილეებმა ისწავლეს თიხის დამუშავებისთვის საჭირო მასალებისა და იარაღების სწორად გამოყენება და თავადაც მოახერხეს მარტივი ნიმუშების პრაქტიკულად შესრულება. პროექტის ფარგლებში მომზადდა კერამიკოს ლადო ბეჟანიშვილის ნამუშევრების ფოტო-მასალა, რომელიც განთავსდა ცენტრის Facebook გვერდზე.

ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“, მუდმივად ჩართულია მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის - „ქალაქ მცხეთის გენერალური გეგმის“ შემუშავების პროცესში. საწესდებო მიზნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არქეოლოგიური ძეგლების დაზიანების პრევენციის და ურბანულ გარემოში შეუსაბამო ელემენტებისა და შენობების განთავსების თავიდან აცილების მიზნით, ხორციელდება „ზედაპირული არქეოლოგიური დათვალიერების აქტებისა“ და „ისტორიულ-არქიტექტურული კვლევების“ შემუშავება დაინტერესებული პირებისთვის. 2023 წელს მომზადდა „ზედაპირული არქეოლოგიური დათვალიერების“ 25 (ოცდახუთი) აქტი და 26 (ოცდაექვსი) „ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა“.

ლანდშაფტის დაცვის საკითხებში, კერძოდ კი ბუნებაში ველური სახეობის ფაუნის აღდგენა-გამრავლების მიზნით, მთა ქართლზე, ველური ბუნების სააგენტოსთან თანამშრომლობით, გაშვებულ იქნა კაკბების გუნდი.

ცენტრის მიერ ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და შემეცნების მიზნით, მუდმივად ხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტული პროგრამების განახლება და კომპეტენციის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი. აღნიშნული მიზნით მომზადდა სოფელ ნიჩბისში ციციშვილების ციხე-დარბაზის (ქვემო ნიჩბისი), წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (ქვემო ნიჩბისი), ზედაზნის მონასტრის და შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის და მათ მიმდებარედ არსებული ინფრასტრუქტურის ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ძეგლების პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, განთავსდა ცენტრის საინფორმაციო პორტალზე www.mtskheta.live და Facebook გვერდზე.

19-21 მაისს ბათუმში დაგეგმილ რიგით მე-14 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაზე ”EBIT 2023”, ცენტრმა წარადგინა მცხეთის მუნიციპალიტეტი, გამოფენისთვის მომზადდა მცხეთის ტურისტული ლოკაციების ამსახველი საინფორმაციო - სარეკლამო მასალები (ბუკლეტები, რუკები, ბანერები, აუდიო გიდი) .

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საქართველოს ეროვნულ ფოტოარქივთან თანამშრომლობის ფარგლებში, ცენტრის მიერ შესყიდულ იქნა ფოტომასალა უძველესი მცხეთის ფოტოარქივიდან. ფოტომასალის ციფრული ვერსია და ორგანიზაციის მიერ

შექმნილი 3D ვიდეო-რგოლი წარმოდგენილ იქნა მიხეილ მამულაშვილის ბაღში მცხეთის ისტორიული ფოტოარქივის პრეზენტაციაზე,

2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები მიხეილ მამულაშვილის ბაღისა და მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტზე, განხორციელდა არქივის დამუშავება/დახარისხება/გაციფრულება, მუზეუმის სივრცის კეთილმოწყობა (საგამოფენო პანელების დამზადება, სამუზეუმო მასალების განთავსება), განახლდა მამულაშვილის ბაღის არსებული აბრა და დამზადდა მიხეილ მამულაშვილის მემორიალური დაფა.

2023 წლის 14 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა მიხეილ მამულაშვილის მუზეუმი და მემორიალური დაფა, გახსნა Live რეჟიმში მიმდინარეობდა ცენტრის Facebook- გვერდზე.

დაიბეჭდა წიგნი - ,,მიხეილ მამულაშვილის მოგონებები", რომლის პრეზენტაციაც იგეგმება უახლოეს მომავლში.

საინფორმაციო ცენტრში მომზადდა ზუმ-კონფერენციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, რათა მოხდეს ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეიქმნა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალგაზრდული კლუბი, რომელიც ითანამშრომლებს მცხეთასთან დამეგობრებული ქალაქების შესაბამის სტრუქტურებთან. დაიგეგმა ციფრული აქტივობების, კერძოდ, ვიკიპედიის სტატიების შევსება-დამატება.

ცენტრი ყოველდღიურად აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს ტურისტების რაოდენობის, წარმომავლობის, ვიზიტის მიზნის და ა.შ. შესახებ. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" თანამშრომლობს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან. ყოველი სეზონის დასაწყისში ხდება ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება, განახლება და სიახლეების (ახალი სასტუმროები, კვების ობიექტები, ღვინის მარნები, ტურისტული სანახაობები და ა.შ.) საქართველოს ინტერაქტიულ ტურისტულ რუკაზე შეტანას.

2023 წლის განმავლობაში მცხეთას ეწვია 31708 ტურისტი, მ.შ. ყველაზე მეტი რუსეთიდან - 4788, პოლონეთიდან - 4697, გერმანიიდან - 2800, ტაილანდიდან - 1316, აშშ-დან - 1033, ისრაელიდან - 987.

მიღწეული შედეგები: შესწავლილია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაცია და გაზრდილია მასზე ხელმისაწვდომობა, ხელშეწყობილია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ციფრული ფიქსაცია, ტურიზმის განვითარება;

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 324,3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 324,2 ათასი ლარი (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 248,8 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 99,9 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს მიმართა ძაღლისა და სხვა ცხოველის მიერ დაზარალებულმა 864 პირმა, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 50 ადამიანს, პირობითი - 700 პირს.

ცენტრში საკმარისი რაოდენობით არის სტრატეგიული ვაქცინების და შრატების რაოდენობა (დიფთერიის, გველის შხამის საწინააღმდეგო, ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატი და ანტიტეტანური გამა), ადგილზეა გრიპის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები (ტამიფლუ).

ოქტომბრის თვიდან დაიწყო სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, აცრილია 1260 პიროვნება.

დედათა და ბავშვთა დაცვის პროგრამის საფუძველზე სწრაფი მარტივი კომბინირებული ტესტებით გამოკვლეულია 37 ორსული, ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში (ც ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი) - 5600 ბენეფიციარი, აქედან დაფიქსირდა 5 დადებითი შემთხვევა.

წლის განმავლობაში სანიტარიული ზედამხედველობა განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაზე. გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ წერილობით ეცნობა დაწესებულების ხელმძღვანელებს.

ზედამხედველობა განხორციელდა 14 საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტზე (სილამაზის სალონზე), ყველას დაესახა კონკრეტული ღონისძიებები;

თამბაქოს კონტროლის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემოწმდა საჯარო სკოლები, სავაჭრო ობიექტები, სილამაზის სალონები, ტრანსპორტი, საჯარო დაწესებულებები, კაფე-რესტორნები, სასტუმროები, სამედიცინო დაწესებულებები; დაჯარიმდა 3 ობიექტი, 21 ობიექტს მიეცა გაფრთხილება.

ჰელმინთებზე კვლევა ჩაუტარდა 78 პირს, დადასტურების შემთხვევაში (26 პირი) მიეცათ სათანადო დანიშნულება.

ცენტრის მიერ ინსექტიციდით დამუშავდა 50000 კვ.მ. ფართობი - ცხოველების სადგომები, სადარბაზოები, სარდაფები, მიტოვებული შენობები.

მიღწეული შედეგები: განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები; განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები;

06 01 02 - მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 900,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 857,7 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 95,3%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით, დაფინანსება მიიღო 1265 ბენეფიციარმა;

- აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 72 არასრულწლოვან პირს გაეწია ფინანსური დახმარება.

- ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე 5 ბენეფიციარს დაუფინანსდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსები.

მიღწეული შედეგები: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისთვის გაწეულია მატერიალური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 354,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 759,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 56 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 16 პირს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით, ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება; მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 102 ბენეფიციარზე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 2 არასრულწლოვან პირს გაეწია ყოველთვიური ფინანსური დახმარება; ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, თავშესაფრის არმქონე 1 ბენეფიციარს გაეწია ბინის ქირით უზრუნველყოფა; 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 7 ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება, დღის ცენტრით მოსარგებლე 60 ბენეფიციარს დაუფინანსდა საკურორტო მომსახურება, 36 უსინათლო ბენეფიციარს გადაეცა ხმოვანი, ქართულად მოლაპარაკე სიცხის საზომი აპარატი და გლუკომეტრი, აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით 3600 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო კალათა, დედის დღესთან დაკავშირებით 250 მრავალშვილიან დედას გადაეცა ტკბილეულის კალათა.

მიღწეული შედეგები: მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

06 02 02 ერთჯერადი სოციალური დახმარება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა უმუშევრობის, დაბალშემოსავლიანობის, მძიმე ავადმყოფობის, უსახლკარობის, მარტოხელა მოხუცებულობის, სტიქიის ან სხვა მიზეზთა გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფი 772 ბენეფიციარისთვის და ასი და მეტი წლის ასაკის 1 უხუცესი პირისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

მიღწეული შედეგები: მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება

განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 4,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2,3 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 57,5 %;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა:
- 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე 2 ვეტერანზე ;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების ხარჯები აუნაზღაურდა 5 ბენეფიციარის ოჯახს.

მიღწეული შედეგები: ომის ვეტერანების და მათი ოჯახების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 45,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 45,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა : განხორციელდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე შშმ პირების (საშუალოდ 21 ბენეფიციარი) ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

მიღწეული შედეგები: ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 77,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 77,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დასრულდა აშშ-ს საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისის ფინანსური მხარდაჭერით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე 24 ბენეფიციარზე გათვლილი მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის მშენებლობა (საგრანტო ღირებულება 1 020 000 აშშ დოლარი), მცხეთის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრს საჩუქრად გადაეცა 19 000 აშშ დოლარის ღირებულების ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, მუდმივ რეჟიმში მოახდინოს სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება.

მიღწეული შედეგები : განხორციელებული საგრანტო პროექტები, ჰუმანიტარული დახმარებების მიღება და განაწილება შშმ პირებზე, დევნილებზე და სოც. დაუცველ მოსახლეობაზე.

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება

განმახორციელებელი - ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა - 125,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 122,5 ათასი ლარით, შესრულების პროცენტი - 97,5 %.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებული და შშმ 40 ბენეფიციარის დღეში ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა სასადილოში.

მიღწეული შედეგები - სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული და შშმ პირების დღიური კვებით უზრუნველყოფა.

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 1242,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1193,0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 96%;

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 898,3 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 207,1 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2,1 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 79,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 6,5 ათასი ლარი.

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 9479,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 8605,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 91%

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3748,2 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე- 2836,7 ათ. ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე- 50,3 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 245,4 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 1725,0 ათ. ლარი; (მათ შორის შეძენილ იქნა: 41 ერთეული კომპიუტერი, 40 ერთეული პრინტერი, 2 ერთეული მესამე კლასის მსუბუქი ა/მანქანა, განხორციელდა 10 ერთეული ავტობუსის სახელშეკრულებო ღირებულების საავანსო ანგარიშსწორება)

01 01 03 სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 294,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 291,0 ათასი ლარი (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 226,0 ათასი ლარი), შესრულების პროცენტი - 99%;

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 263,6 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე- 25,7 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 1,7 ათ. ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია;
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 46,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 34,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 73%;
საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროში.

მიღწეული შედეგები:
დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა.

01 02 03 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 171,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 171,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით ქონების (კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდები და ნარჩენების კონტეინერები) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ერთეული) და ნარჩენების კონტეინერების (200 ერთეული) გადაცემა. საანგარიშო პერიოდში ვალების დაფარვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 171,7 ათასი ლარი. მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 0,2 %-ია.

01 02 05 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

განმახორციელებელი - მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის დაფინანსება: 2023 წლის დაზუსტებული გეგმა 15,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 7,3%;